საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამების

2024 წლის ანგარიში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - 30 00

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: <u>**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**</u>

<u>პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:</u> საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება - (30 01)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 01	<u>**საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება**</u>	**983 800.0**	**965 883.5**	**965 779.9**	**100 %**	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში, მართლწესრიგის ოფიცრის თანამდებობაზე დაინიშნა 70 პირი, მართლწესრიგის ოფიცრის პოზიციიდან მართლწესრიგის უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე დაწინაურდა 30 მოსამსახურე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტში მართლწესრიგის ოფიცრის და მართლწესრიგის უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე დანიშნულ თანამშრომელთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 385 (242 - მართლწესრიგის ოფიცერი, 143 - მართლწესრიგის უფროსი ოფიცერი);

- სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ 12 უცხოელს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში გაეწია სამედიცინო მომსახურება;
- სამინისტროს მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, 36 უცხოელისთვის განხორციელდა ავია-ბილეთების შეძენა და მათი წარმოშობის ქვეყანაში იძულებითი დაბრუნება;
- საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: დროებითი მოთავსების იზოლატორებს გადაეცა ავეჯი და ელექტრო ტექნიკა (მათ შორის, მულტიფუნქციური პრინტერები და კომპიუტერები). შეძენილ იქნა 8 ცალი ფოტოაპარატი. ქ. თბილისის დროებითი მოთავსების მთავარი სამმართველოს №3 დროებითი მოთავსების იზოლატორში შესყიდული და დამონტაჟებული იქნა 2 ერთეული ვიდეო დომოფონი, მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორში 1 ერთეული ვიდეო დომოფონი;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და პოლიციის მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა კრიმინალური დოკუმენტური ტელეგადაცემის ტიპის მინისერიალის გადასაღებად საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (გადაღებული და გაშუქებულია 7 სერია);
- საანგარიშო პერიოდში, მუდმივად ხორციელდებოდა სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილე პოლიციელების უზრუნველყოფა შესაბამისი საკვები პროდუქტებით.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, საქართველოში ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანთან, იტალიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის ეროვნული თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ესპანეთის სამეფოში და შეხვედრა ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრთან;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ოფიციალური ვიზიტი ბელგიის სამეფოში;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა ყირგიზეთის რესპუბლიკის ელჩთან, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის

ხელმძღვანელთან და საქართველოში აშშ-ს საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების ახლად დანიშნულ ოფიცერთან;

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) სამართლის დარგში ატაშესთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კვეიჭოუს პროვინციის დელეგაციასთან და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) სადამკვირვებლო მისიასთან;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საბერძნეთის რესპუბლიკაში და შეხვედრა საბერძნეთის რესპუბლიკის ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის მინისტრთან;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიასთან, ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) საქართველოს ოფისის ახალ ხელმძღვანელთან, საქართველოში ვიზიტით მყოფ ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის კომიტეტის (CPT) დელეგაციასთან.

საანგარიშო პერიოდში ხელი მოეწერა შემდეგ საერთაშორისო შეთანხმებებს:

- „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ“ შეთანხმებას;
- „ბელგიის სამეფოსა და საქართველოს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ირლანდიის ტრანსპორტის სამინისტროსა და ირლანდიის საგზაო უსაფრთხოების ორგანოს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს მართვის მოწმობების გადაცვლის შესახებ;
- „საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ“ შეთანხმებას;
- 2024 წლის 1 დეკემბრიდან ძალაში შევიდა 2023 წლის 31 ოქტომბერს ხელმოწერილი „საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების დროს ურთიერთდახმარების და მათი პრევენციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შემდეგი მრავალწლიანი პროექტები:

- ქ. ქუთაისში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დანაყოფის დისლოკაციისთვის შესაბამისი ბაზის სამშენებლო სამუშაოები, ასევე, ქ, ქუთაისში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შენობა №1-ში (არსებული სასადილო) სარემონტო სამუშაოები;
- სენდვიჩ პანელის შენობების სამშენებლო, სარემონტო-სარეკონსტრუქციო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები (ქ. თბილისი: ე. ბაღდავაძის ქ. №8, ქიზიყის ქ. №1 და კახეთის გზატკეცილი №135);
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. №11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №04/2-ს და შენობა №01/3-ს სარემონტო სამუშაოები და ქ. ქობულეთში, შოთა რუსთაველის ქ. №168ᵃ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №05/1, №06/2 და №07/1-ს სადემონტაჟო სამუშაოები, შენობა №04/1-ს სარემონტო, ნივთმტკიცების შენობის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთის მე-3 ქუჩა №1 მიწის ნაკვეთზე სამი ცალი სენდვიჩპანელის ყაზარმის, სანიტარული კვანძის, საქვაბის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორის ქუჩა №87 მიწის ნაკვეთზე შენობა №1(3)-ის სარემონტო სამუშაოების, ქ. თბილისში, ავჭალის ქუჩა №15 მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა №01(2)-ის სარემონტო და ამავე შენობაზე მიშენების სამუშაოების, ქ. თბილისში, გახოკიძის №16 მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა №01(2)-ის მეორე სართულის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა; გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, 1-ლი ქუჩა №95 მიწის ნაკვეთზე შენობა №02(2)-ს სარემონტო და ტერიტორიაზე არსებული სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის №11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №4(2)-ის სარემონტო სამუშაოები, ქ. ბათუმში გრიბოედოვის №4ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №01/2-ში ლითონის კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები და ქ. ბათუმში, ი. გრიშაშვილის ქ. №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №01-ს წინაფარზე ლამექსის მინის შეცვლის სამუშაოები;
- ქ. ფოთში, მშვიდობის ქუჩა №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;

- ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქ. №38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს შენობა №7(2)-ის სავენტილაციო სისტემის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №135-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს დანაყოფისთვის გამშვები პუნქტის, ყაზარმის, სპორტდარბაზის, სამრეცხაოს სამშენებლო სამუშაოები, შენობა №1(3)-ის სარემონტო, შენობა №4(1)-ის სადემონტაჟო, გარე ელექტრობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქ. №38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №7(2)-ის სარემონტო სამუშაოები;
- დასავლეთ საქართველოში მდებარე, სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფების განთავსების ლოკაციებზე, შენობების და სენდვიჩ-პანელის ჯიხურების სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შენობების: ქ. დუშეთში, რუსთაველის ქუჩა №62-ის მიწის ნაკვეთზე შენობა №01-ის და ქ. მცხეთაში, ღვინჯილიას ქუჩა №9-ის მიწის ნაკვეთზე შენობა №01-ის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შენობების: ქ. გორში, მშვიდობის გამზირი №2ბ მიწის ნაკვეთზე შენობა №01-ის, ქ. ხაშურში, ბორჯომის ქუჩა №194-ის მიწის ნაკვეთზე შენობა №01-ის და ქ. გორში, მშვიდობის გამზირი №2ბ მიწის ნაკვეთზე შენობა №03-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, მიხეილ გახოკიძის №16-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში ქიზიყის ქუჩა №5ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს შენობების №09(1)-ს, №47(1)-ს, №38(1)-ს სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ე. მაისურაძის ქუჩა №3 და ე. მაისურაძის ქუჩა №5 მიწის ნაკვეთებზე გარე განათების ელექტროსამონტაჟო სამუშაოები;
- ქ. თბილისში მიხეილ გახოკიძის ქ. №16-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(2)-ის სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და სოფელ მარტყოფში 1-ლი ქუჩა №95-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების №01-ის და №02-ს სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმანში მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01/3-ის სარემონტო სამუშაოები;

- ქ. თბილისში, გულუას ქ. №8 და გულუას ქ. №10 მიწის ნაკვეთების შემაერთებელი გზის, ლითონის ჭიშკრის მოწყობის, გულუას ქ. №10-ში მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა №1(10)-ს სარემონტო და გულუას ქ. №10-ში მიწის ნაკვეთზე არსებული მემორიალის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, პოლიციის ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების №1(4), №15(1), №25(1), №20(1), №18(1), №4(2)-ს სარემონტო სამუშაოები, ტერიტორიის გარე განათების მოწყობის, ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №5ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს ტერიტორიაზე არმირებული ბეტონის ფილის მოწყობის სამუშაოები;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთის, მე-3 ქუჩა, №1-ის მიწის ნაკვეთზე ბიოლოგიური ნარჩენების გამწმენდი ორი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ეკატერინე ბაღდავაძის ქუჩა №8-ში მდებარე სამინისტროს მიწის ნაკვეთზე მაღალი ძაბვის აღრიცხვის კვანძიდან შიდა ქსელის და ე.წ „გ.კ.ტ.პ“-ის ტიპის, 6-10 კვ. საფეხურის, 1000 კვტ. სიმძლავრის სატრანსფორმატორო ჯიხურის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, ბადრი ბერენაძის ქუჩა №9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების №03/3-ის და №01/4-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გ. გულუას ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(10)-ში სერვერის ოთახში სახანძრო სიგნალიზაციის და ავტომატური ხანძარქრობის სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(10)-ის ცენტრალური კიბის უჯრედებისა და მიმდებარედ არსებული ფოიეების და მე-4 სართულზე განთავსებული A ბლოკის სარემონტო სამუშაოები; სამინისტროს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს ახალშენის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-V განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ამბროლაურის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში ჩასატარებელი ნაწილობრივი სამშენებლო, სამოქალაქო მშენებლობის და საკანალიზაციო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები, ადმინისტრაციული შენობის და ადმინისტრაციული შენობის ეზოში პატრულ-ინსპექტორების მოსაწყობი დარბაზის სახურავების ჰიდროსაიზოლაციო-სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის დაზიანებული მილგაყვანილობის შეცვლის სამუშაოები;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის I სართულის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული ყაზარმის, საშვთა ბიუროს შენობის და მე-8 სართულის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ხულოს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები და შუახევის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყაზბეგის რაიონული სამმართველოს დაბა სტეფანწმინდის პოლიციის განყოფილების, წეროვნის პოლიციის განყოფილების და საგურამოს პოლიციის განყოფილების შენობების სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და მისი დანაყოფების ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის, ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის და ადიგენის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამინისტროს სამცხე–ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ნინოწმინდის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის გათბობა-კონდიცირების სისტემის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და პოლიციის მანათობელი წარწერების შესყიდვა;

- სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის ვანის რაიონული სამმართველოს, წყალტუბოს რაიონული სამმართველოს ფარცხანაყანევის პოლიციის განყოფილებისა და ქუთაისის საქალაქო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ცაგერის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში წყლის სისტემის მილების სარეაბილიტაციო სამუშაოები და ცაგერის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში გათბობა/გაგრილების სისტემის განახლების (ჩილერების და ფანკოილების შეცვლა) სამუშაოები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ამაღლებული ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი;
- გაუმჯობესებული საზოგადოებრივი წესრიგი და დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმები;
- სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ფუნქციონირების სრულყოფა; სამინისტროს განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ავტოპარკი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა, გაუმჯობესებული და დაცული სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ამაღლებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი;
- მართლწესრიგის ოფიცრის სამსახური (ინსტიტუტი) ამოქმედებულია - სამინისტროს 3 ტერიტორიულ ორგანოში; ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ნაწილობრივ განახლებული/შევსებულია; სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 12 ლაბორატორია აკრედიტებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO17025:2017-ის მოთხოვნების შესაბამისად; საერთაშორისო ურთიერთობები გაუმჯობესებულია;
- სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ფუნქციონირების სრულყოფის მიზნით, განახლებულია პატრულ-ინსპექტორების სპეციალური აღჭურვილობა, რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურის ნაწილი, განახლებულია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ავტოპარკის ნაწილი, გაუმჯობესებულია სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. ინდიკატორის დასახელება - საზოგადოებრივი წესრიგის და დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმების ეფექტურობის მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი მოქმედებს სამინისტროს 2 ტერიტორიულ ორგანოში; ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა დანერგილია სამინისტროს ყველა ტერიტორიულ ორგანოში; ISO17025:2017-ის მიხედვით აკრედიტაცია გავლილი აქვს ექსპერტიზის 12 ლაბორატორიას; სამინისტროს 16 ქვეყანაში ჰყავს წარგზავნილი პოლიციის ატაშე, მათგან, ორი პარალელურად ასრულებს მეკავშირე ოფიცრის ფუნქციას.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედებულია სულ სამინისტროს 5 ტერიტორიულ ორგანოში; ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლებულია/შევსებულია (100%); აკრედიტირებულია 23 ლაბორატორია და მიღწეული შედეგები შენარჩუნებულია; დამატებით ორ ქვეყანაში პოლიციის ატაშეები წარგზავნილია; საერთაშორისო ურთიერთობები გაუმჯობესებულია და მიღწეული შედეგები შენარჩუნებულია.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2024 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: მართლწესრიგის ოფიცრის სამსახური (ინსტიტუტი) ამოქმედებულია სულ 3 ტერიტორიულ ორგანოში; ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ნაწილობრივ განახლებულია/შევსებულია (შეძენილია 20 კომპიუტერი და 20 გარე ვინჩესტერი); სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა წარმატებით გაიარა აკრედიტაციის ყოველწლიური შეფასება და შეინარჩუნა ექსპერტიზის ლაბორატორიების აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ISO17025:2017-ის მიხედვით, კერძოდ, აკრედიტაცია შეინარჩუნა 12-მა ექსპერტიზის ლაბორატორიამ. საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, დამატებით ორ ქვეყანაში, ირლანდიის რესპუბლიკასა და ისრაელის სახელმწიფოში წარიგზავნა პოლიციის ატაშეები.

2. ინდიკატორის დასახელება - სამინისტროს მიერ წარმოებული სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული საქმისწარმოების დროს ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის მაჩვენებელი.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და სამინისტროს ქ. თბილისის, ქვემო ქართლის, კახეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტებში შექმნილია ბავშვის ინტერესზე მორგებული სივრცე; სამინისტროში დასაქმებულია 14 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს 10 დანაყოფში მოქმედებს ბავშვზე მორგებული გარემო/სივრცე; სამინისტროს სტრუქტურაში დასაქმებულია მინიმუმ 23 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის შენობაში, ბავშვზე მორგებული გარემოს/სივრცის შექმნა განხორციელდება საშუალოვადიან პერიოდში; საანგარიშო პერიოდში, კოორდინატორების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური და სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულია 14 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

3. ინდიკატორის დასახელება - სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორების სპეციალური საშუალებებით აღჭურვის მაჩვენებელი.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორები აღჭურვილნი არიან არასრულად განახლებული სპეციალური საშუალებებით; განახლებულია სპეც-აღჭურვილობის 40%.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორები აღჭურვილნი არიან განახლებული სპეციალური საშუალებებით (განახლებულია აღჭურვილობის 16%).

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2024 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორების სპეციალური აღჭურვილობა განახლებულია 4%-ით (შეძენილია: 10 კომპლექტი საავტომობილო ციმციმა ხმამაღლამოლაპარაკით (მონტაჟი), 200 კომპლექტი სამკერდე კამერა, 161 ერთეული კამერის მუდმივმოქმედი ლიცენზია, სატრანსპორტო საშუალებების 110 კომპლექტი ბორტ-კომპიუტერი, 200 ერთეული ალკომეტრი, 100 ერთეული მინისა და ფირის სინათლის გამტარობის მზომი აპარატი და 35 კომპლექტი დაქტილოსკოპიური ავტომატური საძიებო-საიდენტიფიკაციო სკანერი

შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით/ლიცენზიებით და ინსტალაციით (თითის ანაბეჭდისთვის).

4. ინდიკატორის დასახელება - სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ავტოპარკის და ინფრასტრუქტურის განახლების მაჩვენებელი.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 65%; სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამოუსადეგარ მდგომარეობაშია საერთო რაოდენობის დაახლოებით 10%; სამინისტროს ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების 30% სრულად აკმაყოფილებს სამუშაო პირობებს.
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 20%-ით განახლებულია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 8%-ით განახლებულია ავტოპარკი; 20%-ით რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურა, აშენებულია დამატებით 4 შენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2024 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: 5%-ით განახლდა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

- საგამოძიებო პროცესის კიდევ უფრო ოპერატიულად და ეფექტიანად წარმართვისთვის, აუცილებელია დნმ ექსპერტიზა, რაც გულისხმობს გენეტიკური პროფილის მიხედვით პიროვნების იდენტიფიცირებას, რაც მიჩნეულია ყველაზე ზუსტ და ეფექტურ მეთოდად დანაშაულში მონაწილე პირ(ებ)ის ვინაობის დასადგენად. შესაბამისად, ერთიანი ეროვნული დნმ-ის მონაცემთა, 100,000 დნმ პროფილიანი ბაზის შექმნისთვის, დაიწყო დნმ ლაბორატორიის რეაგენტებისა და სახარჯი მასალის, დნმ ლაბორატორიის წარმადობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა სახის მოწყობილობების შესყიდვა; საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული იქნა 2024 წელს გადასახდელი თანხები;
- სამინისტროს შესაბამისი მოსამსახურეების უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა: ზამთრის საველე უნიფორმა, საწვიმარი ლაბადები, განტვირთვის ჟილეტები, ყველა სეზონის მაღალყელიანი ფეხსაცმელი, სპორტული ტანსაცმელი (ქურთუკი და შარვალი), საწვავი ბრიკეტები;
- შეძენილ იქნა სამინისტროს გასამხედროებული დანაყოფებისათვის ორიარუსიანი საწოლები და ორიარუსიანი საწოლებისათვის ორთოპედიული მატრასები, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ყოველდღიური და სააღლუმე უნიფორმა, მოიერიშის სათვალეები, სამინისტროს საპოლიციო დანაყოფებისათვის - ქურთუკები;
- სამინისტროს დანაყოფების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, შესყიდულ იქნა სხვადასხვა სახის ავეჯი, 805 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების კომპლექტი (სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი);

- სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, შეძენილ იქნა დიზელ-გენერატორები, ორიგინალი კარტრიჯები, ფოტოხაფანგები, ქსელური მარშრუტიზატორები და კომუტატორები;
- სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, განხორციელდა ვიდეოკამერებისა და შესაბამისი კომპლექტაციის შეძენა;
- სამინისტროს საექსპერტო–კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, შეძენილ იქნა: ფონოსკოპიური ექსპერტიზის სისტემა (კომპლექტში - ინსტალაციით), გაზური ქრომატოგრაფის და მას-სპექტრომეტრის სახარჯი მასალები, მრავალსპექტრული ხელის ანაბეჭდის გამოსავლენი პორტატიული მოწყობილობები, არსებული ბალისტიკური ავტომატური საძიებო საიდენტიფიკაციო სისტემა "ARSENAL"-თან თავსებადი ტყვიების და მასრების სკანერის ტექნიკური მხარდაჭერის ლიცენზიები, დაქტილოსკოპიურ ავტომატურ საძიებო-საიდენტიფიკაციო სისტემა "DACTO 2000"-თან თავსებადი სკანერები (კომპლექტში - ინსტალაციით), არსებული "Cellebrite" პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის ვადის გაგრძელება და წვდომის წერტილის დამატება (ინსტალაციით), ჰაბიტოსკოპიური სისტემის "POLYFACE" პროგრამული უზრუნველყოფის არსებული ვერსიის განახლება, კომპიუტერული ტექნიკა, მრავალსპექტრული ხელის ანაბეჭდის გამოსავლენი პორტატიული მოწყობილობები, ბალისტიკური ავტომატური მასკანერებელი და შემადარებელი სისტემა "BalScaN"-თვის სკანერი (კომპლექტში - ინსტალაციით);
- 2021 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სამინისტროს მასშტაბით კავშირგაბმულობის სისტემის "Dimetra"-ს განახლების და მხარდაჭერის მომსახურების (ვადაგაგრძელებული საგარანტიო მომსახურება) პროცესი.
- სამინისტროს ავტოპარკი განახლებულია 2%-ით:
    - საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებულ იქნა 70 ერთეული Kia Niro Hybrid-ის 2024 წელს გადასახდელი თანხები (აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების მოწოდება განხორციელდა 2023 წელს, თანხა ანაზღაურებულია 2023-2024 წლებში);
    - საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა "FORD TraNsit 460E"-ის მარკის ერთეული 11 მიკროავტობუსი - და HYUNDAI COUNTY ((D4DD) 28+1 SEATERS 4X2 LONG)-ის მარკის 2 ერთეული ავტობუსი;
- რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურის დაახლოებით 5%, აშენებულია - 5 შენობა, განხორციელდა:
    - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმანში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს პოლიციის ადმინისტრაციული შენობის და სამინისტროს

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის დასრულების სამშენებლო სამუშაოები;

- ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №1-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შენობა №18(1)-ს რეკონსტრუქციის და ახალი ღია ავტოფარდულის სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. №11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №05/5-ის სარემონტო სამუშაოები;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ყაზარმის შენობის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის №01/10-ის მე-3 სართულის სარემონტო სამუშაოები;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კრწანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს დანაყოფისთვის: ყაზარმის, სასადილოს, სპორტდარბაზის, გამშვები პუნქტის, ავტოფარდულის, სამი ცალი ცალკე მდგომი სველი წერტილის შენობის, საქვაბის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის დასრულების სამუშაოები;
- ლანჩხუთის რაიონ სოფელ წყალწმინდაში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს სარგებლობაში არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- გურჯაანში, იოსებ ნონეშვილის გამზირ №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შენობა №02(2)-ის სარემონტო და ეზოს კედელზე მავთულხლართის მოწყობის, ქ. თელავში, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №01(1)-ის სადემონტაჟო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, იაკობ ცურტაველის ქუჩა №24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №1/4-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შენობა №1/3-ის და შენობა №4/1-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(10)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. ბათუმში, ადლიას ქუჩა №112-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი,

მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსისთვის საკანალიზაციო ნარჩენების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;

- ქ. თბილისში, მაისურაძის ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(2)-ის სახურავის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. წალენჯიხაში, თამარ მეფის ქუჩა №49-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(2)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს შენობების №01(4)-ის და №23(2)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(10)-ის მე-2 სართულზე საკონფერენციო დარბაზის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, შენობა №01(10)-ის მე-4, მე-5 და -1 სართულზე სარემონტო სამუშაოები;
- ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენში, მე-8 ქუჩა №4ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. ქუთაისში, ჯავახიშვილის ქ. №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შენობა №01-ის სარემონტო სამუშაოები და ქ. ფოთში, მშვიდობის ქ. №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობა №01-ში შშმ პირთა პანდუსის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გულუას ქ. №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის შენობა №1(6)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ავტოსადგომის შესასვლელსა და გასასვლელში მექანიკური, გასაგორებელი ლითონის ჭიშკრების მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №1-ში მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს დანაყოფისთვის ოთხსართულიანი ყაზარმის მშენებლობის, საქვაბის მშენებლობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

- ქ. თბილისში, გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(10)-ის და ქ. თბილისში გ. გულუას ქუჩა №8-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №1(6)-ის სახურავის სარემონტო სამუშაოები;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდაში, მე-19 ქუჩა, №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს დანაყოფისთვის სასმელი წყლით უზრუნველყოფისთვის და არსებული შენობების გაზმომარაგებისთვის საჭირო ქსელების მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ავჭალის ქუჩა №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებული შენობების №01(2)-ს, №02(2)-ს, №03(1)-ს სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. ზესტაფონში, 9 აპრილის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №1(4)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, ბერანძის №9 მიწის ნაკვეთზე არსებული შენობების №13/3, №15/1 და №14/1-ს სადემონტაჟო სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში, სამინისტროს დანაყოფისთვის სენდვიჩ პანელის კონტეინერების მოწყობის სამუშაოები.

5. ინდიკატორის დასახელება - პოლიციელების საცხოვრებლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტროს მოსამსახურეთათვის სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა არაერთი პროექტი. მათ შორის, ბოლო წლებში, ექსპლუატაციაში შევიდა და თანამშრომლებს გადაეცათ ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში 166 საცხოვრებელი ბინა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - აშენებულია 1100 ბინიანი „პოლიციის ქალაქი“.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2024 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: სამინისტროს მოსამსახურეთათვის სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობდა ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №69-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 1 100 ბინიანი პოლიციის ქალაქის სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების, საჭირო განაშენიანების დეტალური გეგმის, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები (აღნიშნული პროექტი ხორციელდება 2022-2027 წლებში, ანაზღაურებულია 2024 წელს გადასახდელი თანხები).

პოლიტიკის კლასიფიკატორი: მდგრადი განვითარების მიზნები - SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები - საანგარიშო პერიოდში მართლწესრიგის ოფიცრის სამსახური (ინსტიტუტი) ამოქმედებულია 3 ტერიტორიულ ორგანოში. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ნაწილობრივ განახლებული და შევსებულია.